PROFILES IBSE სასწავლო მასალები – მიმოხილვა

შეადგინა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის PROFILES-ის გუნდმა – საქართველო

წმენდა ქიმიით - „ჰოლივუდის ღიმილი"

ბუნებისმეტყველების მოდული – ქიმია X კლასი

შემუშავებულია: გეორგიუს ცაპარლისა და გეორგიუს პაპაფოტისის მიერ, 2009
ორგანიზაცია: ქიმიის დეპარტამენტი, იოანინას უნივერისტეტი, საბერძნეთი
ადაპტირებულია: მარიკა კაპანაძის, ეკა სლოვინსკისა და PROFILES-ის მონაწილე პედაგოგების მიერ (2013).
ორგანიზაცია: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
ვებ-გვერდი: www.profiles-georgia.iliauni.edu.ge - ელ.ფოსტა:profiles.georgia@gmail.com

მოკლე აღწერა

მოდულის მიზანია ქიმიის დავაკავშირება ყოველდღიურ ცხოვრებასთან ყოველდღიური მოხმარების პროდუქტის - კბილის პასტის შესწავლის გზით. ასეთი მიდგომით ერთის მხრივ, გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია ქიმიის მიმართ და მეორეს მხრივ, კბილის პასტის კვლევის დროს მათ ექნებათ საშუალება შეისწავლონ სახვადასხვა ქიმიური ნივთიერების თვისებები.
აღსანიშნავია, რომ მოდულის განხორციელება დაკავშირებულია შემოქმედებითობასთან, რაც მოსწავლეების მხრიდან დიდ მოწონებას იმსახურებს.
ეს მოდული საშუალებას იძლევა განიხილოთ კბილების მოვლის რეგულარობის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. მოდულის განხორციელებაში ჩართული მოსწავლები განივითარებენ კვლევის უნარებს.

Project funded within the EC FP7 Programme: 5.2.2.1 – SiS-2010-2.2.1
Grant Agreement No.:266589
Supporting and coordinating actions on innovative methods in science education: teacher training on inquiry based teaching methods on a large scale in Europe

საგანი: ქიმია

კლასი: X კლასი

კურიკულუმთან შესაბამისობა: კბილის პასტაში შემავალი ქიმიური ნივთიერებები და მათი თვისებები; ჰალოგენშემცველი ქიმიური ნივთიერებები და მათი თვისებები.

აქტივობები: ინფორმაციის მოძიება კბილის პასტების შემადგენლობის შესახებ; ექსპერიმენტილი სამიშაოები, დისკუსია; პრეზენტაცია, მუშაობა ჯგუფებში.

სავარაუდო დრო: 2-3 გაკვეთილი

სავალდებულო წინასწარი ცოდნა: კბილის ემალის ქიმიური შედგენილობა და კარიესის წარმოშობის მიზეზები.

ზოგადი მიზნები/ კომპეტენციები: მოსწავლეები შეისწავლიან ჰალოგენშემცველ ნივთიერებებსა და მათ თვისებებს; დააკავშირებენ ქიმიას ყოველდღიურ ცხოვრებასთან - კბილის პასტის შესწავლის გზით; ჩაატერებენ კვლევით სამუშაოებს, შეაგროვებენ და დაამუშავებენ მონაცემებს; გაკეთებენ დასკვნებს.

თანდართული ფაილები		
1.	მოსწავლეთა აქტივობები	სცენარი დეტალურად აღწერს აქტივობებს, რომლებიც მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ. ეს არის მოსწავლეებისთვის მისაცემი სამუშაო ინსტრუქციები.
2.	მასწავლებლის გზამკვლევი	აღწერს სწავლების მიდგომებს.

წყაროები:

გამოყენებულია ევროკავშირის მე-6 ჩარჩო პროგრამის ფარგლებში (SIXTH FRAMEWORK PROGRAMME SCIENCE AND SOCIETY PRIORITY . Science education and careers 2005 COORDINATION ACTION Contract no 042922) დაფინანსებულ პროექტის PARSEL – ის ვებ გვერდზე (http://www.parsel.uni-kiel.de/cms/index.php?id=modules) განთავსებული მასალები. კერძოდ, იოანინას უნივერსიტეტის მოდული ,, Brushing up on chemistry“.